სახანძრო ექსპერტიზის ბიურო

სამშენებლო ობიექტის პროექტის ან მისი ნაწილის მოქმედ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება:

მათ შორის სახანძრო უსაფრთხოების ნაწილი

ანგარიში

№ PE- 01

თარიღი: 25.04.2020

დამკვეთი-განმცხადებელი: შპს ,,კონდი“

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი რჩეულიშვილის ქ. კორპ. 4 ბ. 12

ტელეფონი: 599712228

საპროექტო შენობის მისამართი: ქ. თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია, დიდი დიღომი (ს/კ 01.72.14.014.888)

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: III კლასის მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

საპროექტო ორგანიზაცია/პროექტის ავტორი: შპს ,,აი-სი-ი-ეს“ თ. ხვედელიძე

წარმოდგენილი მასალა: არქიტექტურული პროექტი (,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 47-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობით)

შემსრულებელი ინსპექტორი: გიორგი ლეიმანი

მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წინამდებარე საექსპერტო შეფასება მოიცავს სამშენებლო პროექტის შემდეგ ნაწილებს:

- დაკავებულობ(ებ)ისა და მათი დატვირთვების შეფასებას;
- კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;
- სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;
- გასასვლელების, გასასვლელებთან მისადგომობის და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;
- გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასებას;
- მისაწვდომობის შეფასებას;

- გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;
- გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;
- ცეცხლმედეგობის გამმიჯნავების ხარისხის შეფასებას;
- სახურავის ანაწყობების შეფასებას;
- წყალსადენი სისტემების შეფასებას.

საექსპერტო ანგარიშის შესადგენად წარმოდგენილია სამშენებლო პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

- ინფორმაცია ობიექტის მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე;
- შენობის ტექნიკურ მაჩვენებლებს;
- სიტუაციურ სქემას;
- არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტომასალას;
- მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმას;
- გენგეგმას;
- არქიტექტურულ და კონსტრუქციულ ნაწილებს;
- წყალსადენი მოწყობილობების სქემას.

შენიშვნა: წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

ექსპერტიზის დროს გამოყენებული იქნა ტექნიკური რეგლამენტი ,,შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

კვლევითი ნაწილი:

რეგლამენტის 302 ქვეთავის მიხედვით შენობაში გათვალისწინებული მცირე საფრთხის შემცველი დაკავებულობები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- სამრეწველო ჯგუფი სმ-1 (306.2 ქვეპუნქტი) -3.40 და 0.00 ნიშნულებზე
- სასაწყობო ჯგუფი სწ-1 (302.1 ქვეთავი) -3.40 და 0.00 ნიშნულებზე
- სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (311.3 ქვეთავი) -3.40 ნიშნულზე
- თავშეყრის ჯგუფი თვ-2 (303.3 ქვეთავი) -3.40 ნიშნულზე
- სავაჭრო ჯგუფი სვ (309.1 ქვეთავი) 0.00 ნიშნულზე
- საქმიანი ჯგუფი სქ (304.1 ქვეთავი) -3.40, 0.00 და +3.50 ნიშნულებზე
- დამხმარე დანიშნულების ჯგუფი დს (312.1 ქვეთავი) -3.40 ნიშნულზე

საპროექტო შენობაში გათვალისწინებული დაკავებულობების დატვირთვები გამოთვლილია 1004.1.2 ცხრილში თითოულ დამკავებელზე მოცემული ფართობების შესაბამისად, კერძოდ:

- საწარმოო ფართობებისთვის (სმ-1) მიკუთვნებულია ინდუსტრიული ფართობების სტატუსი, შემდგომ მათი მთლიანი ფართობები გაყოფილია 9,3-ზე

- სასაწყობო ფართობების (სწ-1 და სწ-2) მთლიანი ფართობები გაყოფილია 46,5-ზე

- საქმიანი (სქ) ჯგუფს მიკუთვნებული ოფისების ფართობები გაყოფილია 9,3-ზე, ხოლო გასახდელების და გარდერობების დატვირთვა გამოთვლილია დამკავებელთა რეალური რაოდენობით, რაც დასაშვებია 1004.1.2 ქვეთავის გამონაკლისის შესაბამისად

- სავაჭრო-კომერციული (სვ) ჯგუფს მიკუთვნებული მაღაზიის ფართობი გაყოფილია 2,8-ზე

- თავშეყრის (თვ-2) ჯგუფში შემავალი სასადილოს ფართობი გაყოფილია 1.4-ზე ხოლო სამზარეულოსი 18.6-ზე

- დამხმარე სათავსოები (დს) ჯგუფის სივრცეების საერთო ფართობი გაყოფილია 27,9-ზე

ზოგ შემთხვევაში დაკავებულობების დატვირთვა აღებულია რეალურ დამკავებელთა რაოდენობის მიხედვით.

კონსტრუქციების ტიპების შეფასება:

შენობის ელემენტები	გამოსაყენებელი სამშენებლო მასალა	ცეცხლმედეგობა (სთ)		ხარისხის ტიპი
		ფაქტიური	დასაშვები	
ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო	სვეტები: არმირებული ბეტონი კოჭები: არმირებული ბეტონი	3 2	0	B-II
გარე არამზიდი კედლები	ბლოკები: (პერლიტი)	2	0	
შიგა არამზიდი კედლები და ტიხარები	კედლები: ბლოკები (პერლიტი) ტიხარები: ბლოკები (პერლიტი)	2 1	0	
იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები	არმირებული ბეტონი	3	0	
სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები	ლითონის ფერმა ლითონის გადახურვა	0	0	

საპროექტო შენობის კონსტრუქციების ცეცხლმედეგობის ხარისხის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ შენობის ძირითადი კონსტრუქციები 601 ცხრილის მიხედვით შენობის ცეცხლმედეგობის ხარისხი სწორედ არის შერჩეული.

ფართობისა და სიმაღლის შეზღუდვები შეფასება:

ფართობისა და სიმაღლის შეზღუდვებისადმი მოთხოვნები					
სართულის დონე	დაკავებულობები	დასაშვები		ფაქტიური	
		ფართობი (მ²)	სიმაღლე 16.8 მეტრი სართული	ფართობი (მ²)	სიმაღლე 10.8 მეტრი სართული
-3.40	სამრეწველი ჯგუფი სმ-1	1440	2	60.1	2
	სასაწყობო ჯგუფი სწ-1	1630.0	3	238	2
	სასაწყობო ჯგუფი სწ-2	2420.0	4	238.62	1
	თავშეყრის ჯგუფი თვ-2	880.0	2	116.5	1
	საქმიანი ჯგუფი სქ	2140.0	4	158	3
	დამხმარე ჯგუფი დს	790.0	2	55	1
0.00	სამრეწველი ჯგუფი სმ-1	1440	-	1142.74	-
	სასაწყობო ჯგუფი სწ-1	1630.0	-	35.70	-
	საქმიანი ჯგუფი სქ	2140.0	-	41.20	-
	სავაჭრო ჯგუფი სვ	1160.0	4	39.00	1
+3.50	საქმიანი ჯგუფი სქ	2140.0	-	326.3	-
იატაკის საერთო ფართობი (კვ.მ)		2437.91			
შენობის საერთო ფართობი (კვ.მ)		3598.31			

შერჩეული ცეცხლმედეგობის (II-B ტიპი) ხარისხიდან გამომდინარე საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი შეესაბამება 503 ცხრილის მოთხოვნებს.

დაკავებულობების დატვირთვის შეფასება:

საპროექტო შენობაში გათვალისწინებული დაკავებულობების დატვირთვები გამოთვლილია 1004.1.2 ცხრილში თითოულ დამკავებელზე მოცემული ფართობების შესაბამისად, ზოგ შემთხვევაში დაკავებულობების დატვირთვა აღებულია რეალურ დამკავებელთა რაოდენობის მიხედვით კერძოდ:

- საწარმოო ფართობებისთვის (სმ-1) მიკუთვნებულია ინდუსტრიული ფართობების სტატუსი, შემდგომ მათი მთლიანი ფართობები გაყოფილია 9,3-ზე

- სასაწყობო ფართობების (სწ-1 და სწ-2) მთლიანი ფართობები გაყოფილია 46,5-ზე

- საქმიანი (სქ) ჯგუფს მიკუთვნებული ოფისების ფართობები გაყოფილია 9,3-ზე, ხოლო გასახდელების და გარდერობების დატვირთვა გამოთვლილია დამკავებელთა

რეალური რაოდენობით, რაც დასაშვებია 1004.1.2 ქვეთავის გამონაკლისის შესაბამისად

- სავაჭრო-კომერციული (სვ) ჯგუფს მიკუთვნებული მაღაზიის ფართობი გაყოფილია 2,8-ზე

- თავშეყრის (თვ-2) ჯგუფში შემავალი სასადილოს ფართობი გაყოფილია 1.4-ზე ხოლო სამზარეულოსი 18.6-ზე

- დამხმარე სათავსოები (დს) ჯგუფის სივრცეების საერთო ფართობი გაყოფილია 27,9-ზე

დაკავებულობების ჯგუფების შერჩევა და მათი დატვირთვების ანგარიში განხორციელებულია წესების შესაბამისად.

გარე კედლების ცეცხლმედეგობა და ღიობების პროცენტულობის განსაზღვრა

გარე კედლების ცეცხლმედეგობისა და ღიობებისადმი მოთხოვნები
ცხრილი 602 და 705.8-ის მიხედვით

გარე კედელი	ხანძარსაწინააღმდეგო მინიმალური მანძილი (მეტრი)	ცეცხლმედეგობის ხარისხი (საათი)		კედლის ღიობების ფართობი (კედლის %)					
				დასაშვები			ფაქტიური		
		მოთხოვნილი	ფაქტიური	დაუცველი საშხეფეზის გარეშე	დაუცველი საშხეფეზით	დაცული	დაუცველი საშხეფეზის გარეშე	დაუცველი საშხეფეზით	დაცული
„ზ-ზ¹“ და „1-11“ ღერძებში -3.40 ნიშნ.	1.59 (მინიმალური)	1	2	10%	25%	25%		3.7% აკმაყოფილებს	
„1-1¹“ და „ა-ზ” ღერძებში	4.5 (მინიმალური)	0	0	25%	75%	75%	აკმაყოფილებს 705.8 (1.1)		
„ა-ა¹“ და „1-11“	4.5 (მინიმალური)	0	0	25%	75%	75%	აკმაყოფილებს 705.8 (1.1)		
„ზ-ზ¹“ და „1-11“ ღერძებში	1.59 (მინიმალური)	1	2	10%	25%	25%			0% აკმაყოფილებს
„11-11¹“ და „ზ-ზ¹“ ღერძებში	1.10 (მინიმალური)	2	2	დაუშვებელია	15%	15%			0% აკმაყოფილებს

საპროექტო შენობის -3.40 ნიშნულის ყველა გარე კედელი წარმოადგენს არმირებული ბეტონის სტრუქტურულ ელემენტებს, რომლებსაც გააჩნიათ 2 საათზე მეტი ცეცხლმედეგობის ხარისხი.

0.00 და 3.50 ნიშნულებზე გარე კედლები 20 სმ. ბლოკისაა, 721.1.(2) ცხრილის მიხედვით მათი ცეცხლმედეგობის ხარისხი 2 საათს შეადგენს, რაც აკმაყოფილებს რეგლამენტის მოთხოვნებს, რადგან 602 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობის გარე კედლებს ყველაზე კრიტიკული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებით 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი ესაჭიროება.

გარე კედლებში მოწყობილი ღიობების ფართობების შეფასება:

-3.40 ნიშნულზე ,,ზ-ზ[1]“ და ,,1-11“ ღერძებში ფანჯრების და კარების ღიობები, რომელთა საერთო ფართობი ამავე სართულის კედლის მიწისზედა ნაწილის ფართობის 3.7 % შეადგენს ფანჯრები ამოშენებულია მინა ბლოკებით ხოლო კარების ღიობი დაცულია შესაბამისი ცეცხლმედეგობის ხარისხის კარებით, რაც შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს ვინაიდან ზემოთ აღნიშნულ ნიშნულზე მდებარე სართულზე, გათვალისწინებულია ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა.

,,1-1[1]“ და ,,ა-ზ” ასევე ,,ა-ა[1]“ და ,,1-11“ ღერძებს შორის მოქცეული გარე კედელები, რომელებიც პირით ქუჩისკენ არის მიმართული და ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები თითქმის ყველა მონაკვეთზე აღემატება 4.5 მეტრს. 602 ცხრილის მიხედვით II-B ტიპის კონსტრუქციას ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება. 705.8.1 ქვეთავის №1.1 გამონაკლისის თანახმად, ამ კედლებში მოსაწყობი დაუცველი ღიობების ფართობი შეუზღუდავია.

,,ზ-ზ[1]“ და ,,1-11“ ღერძებზე, 0.00 და +3.50 ნიშნულებზე კედელში არსებული ღიობები ფასადის მხრიდან შევსებულია მინაბლოკით ხოლო შიგნიდან ამოშენებულია სამშენებლო ბლოკით, რაც აკმაყოფილებს მთლიანი კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხს აქედან გამომდინარე 705.8 ცხრილის თანახმად ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი შეუზღუდავია.

,,11-11[1]“ და ,,ა-ზ“ ღერძებს შორის მოქცეულ კედელში არსებული 2 ღიობში (მინაბლოკი) დაცულია ცეცხლგამძლე ფირფიტანებით (ჟალუზი) 716.5 ქვეთავის მოთხოვნათა შესაბამისად. ასევე მე-3 ღიობში გათვალისწინებულია 2 საათიანი ცეცხლმედეგი კარების მოწყობა.

გარე კედლების ხანძარმედეგობა და ღიობების პროცენტულობა აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.

სახურავის ანაწყობების შეფასება:

როგორც კონსტრუქციის ტიპების შეფასებისას აღინიშნა, საპროექტო შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო, იატაკის კონსტრუქცია და ნაწილობრივ სახურავის კონსტრუქცია მონოლითური რკინა-ბეტონისაა და შესაბამისად გააჩნია 3 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი. გამონაკლისს წარმოადგენს ,,3-11" და ,,გ[1]-ზ" ღერძებს შორის მოქცეული სახურავი, რომელიც ლითონის კონსტრუქციას წარმოადგენს და სავარაუდოდ ცეცხლმედეგობაზე გათვლილი არ არის. აქედან გამომდინარე 705.11.1 ქვეთავის შესაბამისი პარაპეტი ესაჭიროება მხოლოდ ,,1-11" და ,,გ[1]-ზ" ღერძებს შორის მოქცეულ კედლებს, რაც პროექტით გათვალისწინებულია.

შენობის სახურავი შედგება შერეული კონსტრუქციებისგან, კერძოდ: ერთი ნაწილი რკინა-ბეტონის კონსტრუქციის მრავალშრიანი ბრტყელი გადახურვისგან (მცირე ქანობით), დანარჩენი ნაწილი კი ქანობიანი ლითონის კონსტრუქციისგან.

მიუხედავად იმისა, რომ 601 ცხრილის მიხედვით, შერჩეული II-B ტიპის კონსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი, სახურავს ნაწილობრივ გააჩნია პარაპეტი, რომელიც თანახმად 1505.1ა ცხრილისა C კლასის სახურავის ანაწყობად ითვლება.

სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.

დაკავებულობების გამმიჯნავი კონსტრუქციების ცეცხლმედეგობის შეფასება:

საპროექტო შენობის სართულებს შორისი გადახურვები წარმოადგენს მონოლეთურ რკინა-ბეტონს და მათი ცეცხმედეგობის ხარისხი არანაკლებ 3 საათია ზემოთ აღნიშნული თარაზული გამმიჯნავები შეესაბამება 508.4 ცხრილისა და 510.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

სართულებზე გათვალისწინებული დაკავებულობების ერთმანეთისგან გამმიჯნავი კონსტრუქციების ცეცხლმედეგობის ხარისხი სწორედ არის შერჩეული, კერძოდ:

-3.40 ნიშნულის სართულზე, რომელიც აღჭირვილია ავტოსაშხეფი სისტემით, 913.2.1 ქვეთავის გამონაკლისის შესაბამისად სახანძრო ტუმბოების ოთახი სხვა დაკავებულობებისგან, გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით.

აღნიშნულ ოთახში შესასვლელ ღიობებში გათვალისწინებულია 1.5 და 2 საათიანი ცეცხლმედეგობის კარებების მოწყობა რაც შეესაბამება 716.5 ცხრილის მოთხოვნებს. ასევე გ[1]-ე და 4-3 ღერძებში არსებული კიბის შესასვლელში მოჭყობილია 1.5 საათიანი ცეცხლმედეგობის კარები.

ცხრილი 508 (თანმხლები გამოყენებები) მოთხოვნების გათვალისწინებით დაკავებულობების გასამიჯნად გამოყენებულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ბლოკის ტიხარები.

0.00 ნიშნულის სართული 3 საათიანი ცეცხლმედეგობის ზღუდით 510.2 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად გაყოფილია ორ სახანძრო ნაკვეთურად ზღუდეში არსებულ ღიობებში გათვალისწინებულია დაწნეული ,,ტამბურ-რაბების" მოწყობა, რომლებიც აღიჭურვება 1.5 საათიანი ცეცხლმედეგობის კარებებით, რაც შეესაბამება 909.20 ქვეთავის მოთხოვნებს.

იმის გათვალისწინებით, რომ შენობის მიწისქვეშა სართულში ზედა სართულებისგან განსხვავებით გათვალისწინებულია ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა, გზა-კიბეები და ლიფტის შახტა შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ტიხარებით, რაც აღემატება 1009.3.1.2 ქვეთავის მოთხოვნებს. გზა-კიბეების შესასვლელებში ცხრილი 716.5 ის შესაბამისად მოწყობილია 1.5 საათიანი ცეცხლმედეგობის კარებები.

გამმიჯნავების ცეცლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია ჩესების მოთხოვნების შესაბამისად.

გასასვლელების, გასასვლელებთან მისადგომების და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

გასასვლელი საშუალებები										
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	მოთხოვნილი გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა	გათვალისწინებული გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა	გასასვლელი საშუალებების სიგანე (მეტრი)					
				გზა-კიბეები		დერეფანი		გასასვლელი გზა-კარი	
				მოთხოვნილი	ფაქტიური	მოთხოვნილი	ფაქტიური	მოთხოვნილი	ფაქტიური
-3.40	სმ-1 დ.დ. 6	1	1 (გზა-კარი) (თითოეულს)					0.82	0.88 0.82
	სწ-1 დ.დ. 5	1	1 (გზა-კარი) (თითოეულს)					0.82	1.50 0.88
	სწ-2	1	1					0.82	1.50

	დ.დ. 5		(გზა-კარი) (თითოეულს)						0.88
	სქ დ.დ. 7 დ.დ. 2 დ.დ. 1 დ.დ. 1	1	1 (გზა-კარი) (თითოეულს)					0.82	0.88
	თვ-2 დ.დ. 58	2	2 (გზა-კარი)					0.82	0.82
	დს დ.დ. 2	1	1 (გზა-კარი) (თითოეულს)					0.82	1.50 0.88
-3.40 ნიშნულზე სართულის დ.დ. 87		2	2 (გზა-კიბე)	1.10	1.12 1.10	1.20	1.30 (მინი- მალური)	0.82	0.88
0.00	სმ-1 დ.დ. 123	2	4 (გზა-კარი)					0.82	0.88
	სწ-1 დ.დ. 1	1	2 (გზა-კარი)					0.82	0.88
	სქ დ.დ. 4	1	1 (გზა-კარი) (თითოეულს)					0.82	0.88
	სვ დ.დ. 14	1	2 (გზა-კარი)					0.82	0.98 0.88
0.00 ნიშნულზე სართულის დ.დ.142		2	3 (გზა-კარი)			1.20	1.30 (მინი- მალური)	0.82	0.98 0.88
+3.50	სქ დ.დ. 35	1	1 (გზა-კარი) (თითოეულს)					0.82	0.88
+3.50 ნიშნულზე სართულის დ.დ.35		2	2 (გზა-კიბე)	1.10	1.12 1.20	1.20	1.30 (მინი- მალური)	0.82	0.88

საპროექტო შენობას სართულიანობიდან, დაკავებულობების და გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილების გათვალისწინებით ცხრილი 1021.2 (2) მოთხოვნების შესაბამისად აქვს რამდენიმე გასასვლელი კერძოდ:

-3.40 ნიშნულზე მდებარე სართულზე გათვალისწინებულ დაკავებულობების ჯგუფებს, რომლებიც ერთმანეთს ძირითადად დერეფნების საშუალებებით უკავშირდება, ესაჭიროება 2 გასასვლელი. პროექტით გათვალისწინებულია 3 გასასვლელი, შიგა გასასვლელი კიბეების და Ზ-Ზ[1] ღერძში ასებული კარების ჭრილის სახით. ,,1-2“ და ,,გ-დ“ ღერძებს შორის მოწყობილი გზა-კიბე აკავშირებს სამ სართულს, რომელიც შემოზღუდულია 1009.3 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად კერძოდ:

1009.3.1.2 ქვეთავის თანახმად შიგა სივრცისგან შემომზღუდავი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს 2 საათს აღნიშნული კედლის შვეულ ღიობებში გათვალისწინებულია 1.5 საათიანი ცეცხლმედეგობის ხანძარსაწინააღმდეგო კარებების მოწყობა, რაც შეესაბამება 1009.3.1.4 და 716.5 ცხრილის მოთხოვნებს. აღნიშნული გზა-კიბე 0.00 ნიშნულზე გადის შენობის გარეთ მოწყობილ ბაქანზე საიდანაც კიბეების მეშვეობით შესაძლებელია საზოგადოებრივ სივრცეში მოხვედრა, რაც შეესაბამება 1009.2 ქვეთავის მოთხოვნებს. პროექტის ,,10-11“ ,,გ-დ“ ღერძებში გათვალისწინებული მეორე გზა-კიბე, რომელიც აკავშირებს შენობის -3.40 და 0.00 დონეებს 1027.1 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად ვესტიბიულის გავლით გადის უშუალოდ გარეთ. 1009.3.1 და 1009.3.1.2 ქვეთავების მოთხოვნათა გათვალისწინებით შიგა სივრცისგან გამოყოფილია შემომზღუდავი 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხიანი კედლებით, აღნიშნული კედლის შვეულ ღიობებში გათვალისწინებულია 1.5 საათიანი ცეცხლმედეგობის ხანძარსაწინააღმდეგო კარების მოწყობა, რაც შეესაბამება 1009.3.1.4 და 716.5 ცხრილის მოთხოვნებს.

შენობის 0.00 ნიშნულზე მდებარე სართული 3 საათიანი ცეცხლმედეგობის ტიხარით გაყოფილია ორ სახანძრო ნაკვეთურად. 1021(2) ცხრილის შესაბამისად სართულს ესაჭიროება ოთხი გასასვლელი. პროექტით სართულზე მოწყობილ სახანძრო ნაკვეთურებს გააჩნიათ საჭირო რაოდენობის გასასვლელი საშუალებები კერძოდ: ,,8-11“ ღერძებში მოქცეული სივრცის ძირითადი გასასვლელი ,,გ-დ“ და ,,10-11“ ღერძებში მოწყობილი -3.40 და 0.00 ნიშნულების დამაკავშირებელი კიბის უჯრედის ბაქნის გავლით უშუალოდ გარეთ გადის. ასავე ,,გ-დ“ და ,,8-8“ ღერძებში მოწყობილ ცეცხლმედეგ ტიხარში გათვალისწინებული ტამბურ-რაბის (სადაც მოეწყობა ჰაერის დაწნევა) მეშვეობით შესაძლებელია მომიჯნავე ან შუალედური სივრცეების გამოყენებით გარეთ გასვლა, რაც შეესაბამება 1014.2 ქვეთავის (1) გამონაკლისს. ,,1-8“ ღერძებში მოქცეული სივრციდან გასასვლელ საშუალებად მიჩნეულია ,,გ-დ“ და ,,1-2“, ,,$а^1$-ბ“ და ,,3-5“, ,,ბ-$ბ^1$“ და ,,6-7“ ღერძებში მოწყობილი კარებების ღიობები, საიდანაც შესაძლებელია უშუალოდ გარეთ მოხვედრა.

+3.50 ნიშნულზე მდებარე სართულს სადაც გათვალიწინებულია საოფისე ფართების მოწყობა, 1021(2) ცხრილის მოთხოვნების შესაბამისად ესაჭიროება ორი გასასვლელი, რაც პროექტში გათვალისწინებულია ერთი შიგა გასასვლელი გზა-კიბით და მეორე გარე გასასვლელი გზა-კიბით, რომელიც 1026 ქვეთავის მოთხოვნებს შეესაბამება.

გზა-კიბეების და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება:

,,1-2" ღერძებში განთავსებული შიგა გზა-კიბის თავისუფალი სიგანე შეადგენს 1.12 მეტრს, ხოლო ,,10-11" ღერძებში 1.10-ს. 0.00 ნიშნულიდან ,,ა-ბ" და ,,2-5" ღერძებში გასასვლელი გარე გზა-კიბის სიგანე კი 1.20 მეტრია. აღნიშნული პარამეტრები სრულად შეესაბამება 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს. კიბეების სავალ ზედაპირზე მოწყობილი სახელურები და მოაჯირები შეესაბამება წესების 1012 და 1013 ქვეთავების მოთხოვნებს. საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე აკმაყოფელებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს. გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება წესების მოთხოვნებს (იხ.1009.8 ქვეთავი).

დერეფნების სიგანე აკმაყოფილებს 1005.3.2 ქვეთავისა და 1018.2 ცხრილით მოთხოვნილ პარამეტრებს.

კარებების სიგანე გაღებულ მდგომარეობაში აკმაყოფილებს 1008.1.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

პროექტით გათვალისწინებული გასასვლელი საშუალებების რაოდენობა დამათი გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.

მისაწვდომობის შეფასება:

საპროექტო შენობის ,,გ[1]-გ" და ,,1-2" ღერძებს შორის მოწყობილი შესასვლელის გარდა სხვა ყველა შესასვლელი არის მისაწვდომი, კერძოდ: აღნიშნული შესასვლელები მიწის დონეს უკავშირდება მცირე 5% ნაკლები ქანობიანი ზედაპირებით, შენობა უზრუნველყოფილია შესასვლელების 50%-ით, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

-3.40 და +3.50 ნიშნულებზე არსებულ სართულებში მოხვედრა შესაძლებელია სამგზავრო ლიფტის მეშვეობით, რომლის გაბარიტები აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.

შენიშვნა: *მისაწვდომი გასასვლელი საშუალებების ნაწილად რომ ჩაითვალოს ლიფტი, ეს უკანასკნელი უნდა აკმაყოფილებდეს წესების 1703.1-1703.1.4. ვეთავების მოთხოვნებს.*

იმის გათვალისწინებით, რომ -3.40 ნიშნულის სართულზე მოწყობილია ავტოსაშხეფი სისტემა, ხოლო მიწისზედა სართულებზე გასასვლელთან თარაზული მისადგომი ცეცხლმედეგი ზღუდეებით გამოყოფილია სართულების დანარჩენი

სივრცეებისგან და კიბის უჯრედებში გათვალისწინებულია ჰაერის დაწნევა 1007.3 ქვეთავის მოთხოვნათა გათვალისწინებით თავშესაფრების მოწყობა აუცილებლობას არ წარმოადგენს, რაც ასახულია პროექტში. ყველა სართულის გეგმაზე ასახულია მისაწვდომი სვლაგეზი, რაც შეესაბამება 1004 ქვეთავის მოთხოვნებს.

შენობა უზრუნველყოფილია მისაწვდომებით, რაც შესაძლებელს ხდის მის ყველა ნაწილში მოხვედრას აქედან გამომდინარე პროექტი აკმაყოფილებს წესების მე-11 თავის მოთხოვნებს.

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები

1602.1 ცხრილის მიხედვით

სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	ფქსირებული მოწყობილობები											
		უნიტაზი		ტუალეტის ხელსაბანები		აბაზანა/შხაპი		სასმელი წყლის აპარატი		სამომსახურო ნიჟარა	
		მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
-3.40 ნიშნულზე	დს ს.დ.დ. 2	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
	სწ-2 ს.დ.დ 8	1	2 კ. + 2.ქ.	1	2 კ. + 2.ქ.	—	—	1	1	1	1
	სწ-1 ს.დ.დ 4					—	—				
	სმ-1 ს.დ.დ 6					—	—				
	თვ-2 ს.დ.დ 58	1 კ. 1 ქ.	1 შ.შ.მ.პ	1 კ. 1 ქ.	1 შ.შ.მ.პ	—	—				
	სქ ს.დ.დ 75	1 კ. 2 ქ.	1 კ. + 2 ქ.	1 კ. 1 ქ.	1 კ. + 1 ქ.	—	2 კ. + 9.ქ.				
0.00 ნიშნულზე	სმ-1 დ.დ 123	1 კ. 1 ქ.	1 კ. + 2 ქ.	1 კ. 1 ქ.	1 კ. + 2 ქ.	—	—	1	2	1	1
	სწ-1 დ.დ 1	1		1		—	—				
	სქ ს.დ.დ 4	1	1	1	1	—	—				
	სვ დ.დ 14	1	1	1	1	—	—				
+3.50 ნიშნულზე	სქ ს.დ.დ 35	1 კ. 1 ქ.	1 კ. + 1 ქ. +	1 კ. 1 ქ.	1 კ. + 1 ქ. +		1 კ. +	1	1	1	1

შენობის საერთო დაკავებულობების დატვირთვიდან გამომდინარე, წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა შეესაბამება წესების 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს კერძოდ:

-3.40 ნიშნულის სართულზე სქ დაკავებულობა მოიცავს ქალებისა და მამაკაცების გარდერობებს და გასახდელებს, რომლებსაც გააჩნიათ თავიანთი სანკვანძები შესაბამისი რეოდენობის ტუალეტებითა და საშხეფებით. ამავე სართულზეა: სასადილო (თვ-2), რომელსაც დატვირთვიდან გამომდინარე (58 დამკავებელი) ესაჭიროება თითოეული სქესისთვის ცალ-ცალკე მოწყობილობები თითო უნიტაზითა და ხელსაბანით ხოლო სასაწყობო (სწ-1 და სწ-2) და სამრეწველო (სმ-2) დაკავებულობებს კი ერთი ტუალეტი მოეთხოვება თითო სქესის 100 დამკავებელზე, თუმცა იქიდან გამომდინარე რომ დამკავებლების რაოდენობა საერთო ჯამში არის 18, სართულზე მოწყობილი საერთო სარგებლობის ტუალეტები, თითოეული სქესისთვის ცალ-ცალკე მოწყობილობებით, ორ-ორი უნიტაზითა და ხელსაბანით აკმაყოფილებს 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს.

პირველ სართულზე სმ-1 და სწ-1 დამკავებელთათვის გათვალისწინებულია ერთი საერთო სარგებლობის ტუალეტი თითოეული სქესისთვის ცალ-ცალკე მოწყობილობებით, კაცებისთვის თითო, ხოლო ქალებისთვის ორ-ორი უნიტაზითა და ხელსაბანებით. რაც შეეხება სვ და სქ დაკავებულობებს თავის ფართში ასევე შშმ პითათვის დერეფნის სივრცეში ლიფტთან მოწტობილია ტუალეტი.

-3.50 ნიშნულის სართულზე განთავსებულ საოფისე დაკავებულობებს (სქ), რომელსაც დატვირთვიდან გამომდინარე (35) ესაჭიროება თითოეული სქესისთვის ტუალეტები თითო უნიტაზითა და ხელსაბანებით, პროექტში კი მოთხოვნილზე მეტი ტუალეტის მოწყობა არის გათვალისწინებული.

1602.5 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად სამივე სართულზე გათვალისწინებულია წყლის დასალევი შადრევნების მოწყობა.

წყალსადენი სისტემის მოწყობილობების რაოდენობა განსაზღვრულია წესების მიხედვით

ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები:

საპროექტო ორგანიზაცია/ შესრულებულია: შპს ,,ელ-პლიუსი" ირაკლი წერეთელი.

საექსპერტო შეფასება მოიცავს არქიტექტურული პროექტის შემდეგ ნაწილებს:

- ავტოსაშხეფი სისტემების პროექტი;
- სახანძრო მოლდგარების სისტემების პროექტი;
- სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემების პროექტი;
- ცეცხლგამძლე კარებების მოწყობის სქემა.

შენიშვნა: წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

ექსპერტიზის დროს გამოყენებული იქნა ტექნიკური რეგლამენტი ,,შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

კვლევითი ნაწილი:

რეგლამენტის მე-9 თავის მიხედვით შენობის დაკავებულობებში გათვალისწინებულია ავტოსაშხეფი, სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი ასევე კვამლის საკონტროლო სისტემების მოწყობა:

ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებისდმი მოთხოვნები									
დაკავებულობები, სივრცეები და გასასვლელი საშუალებები	ავტოსაშხეფი სისტემა	ალტერნატიული ავომატური ქრობის სისტემა	სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები	სახანძრო მილდგარების სისტემა	კვამლის საკონტროლო სისტემები	ხელის ცეცხლმაქრები	საავარიო განგაშის სისტემა	ხანძრის მართვის ცენტრი	სახანძრო სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი
სამრეწველო ჯგუფი სმ-1	-3.40 კი 0.00 არა	არა	კი	კი	კი	კი	არა	არა	კი

სასაწყობო ჯგუფი სწ-1	-3.40 კი 0.00 არა	-	-	-	არა	-	-	-	-
სასაწყობო ჯგუფი სწ-2	კი	-	-	-	-	-	-	-	-
თავშეყრის ჯგუფი თვ-2	კი	-	-	-	-	-	-	-	-
სავაჭრო ჯგუფი სვ სვ	არა	-	-	-	-	-	-	-	
საქმიანი ჯგუფი სქ	-3.40 კი 0.00 და +3.50 არა	-	-	-	-	-	-	-	-
დამხმარე ჯგუფი დს (დამხმარე სათავსოები)	-3.40 კი 0.00 არა	-	-	-	-	-	-	-	-
დერეფანი	კი	-	-	-	-	-	-	-	-
ლიფტის სამანქანო	არა	-	-	-	-	-	-	-	-

ავტოსაშხეფი სისტემის შეფასება:

საპროექტო შენობა მიღებულია, როგორც მცირე საფრთხის შემცველობის, რაც NFPA 13-ის მოთხოვნებს შეესაბამება.

-3.40 ნიშნულის სართულზე, ფართობიდან გამომდინარე 903.2.4 (1) და 903.2.11.1 ქვეთავების მოთხოვნების შესაბამისად გათვალისწინებულია ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა. სისტემა გათვალისწინებულია ერთდროულად 140 მ^2 სივრცის ქრობისათვის, ხოლო თითეულ კვ. მეტრზე წყლის მიწოდება შეადგენს 6.1 ლიტრს წუთში, აქედან გამომდინარე ზემოთ აღნიშნული სივრცის ქრობისათვის ავტოსაშხეფი სისტემისათვის მიღებულია 854 ლ/წთ წყლის წარმადობა.

საშხეფების წლის საჭირო რაოდენობის შესაბამისი წნევით მისაწოდებლად შერჩეულია არანაკლები 854 ლ/წთ წყლის წარმადობისა და 5 ბარი სიმძლავრის ტუმბოები, რაც შეესაბამება NFPA 13-ის 19.3.2.3 ქვეთავის მოთხოვნებს.

903.3.5.2 ქვეთავის მოთხოვნათა შესაბამისად გათვალისწინებილია 30 წუთიანი წყლით ქრობა, აქედან გამომდინარე წყლის რეზერვი 30 მ^3 გათვლილია სწორედ.

სატუმბი სადგური 913.2 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად, განთავსებულია -3.40 ნიშნულის სართულზე ცალკე გამოყოფილ ოთახში. სადაც გათვალისწინებულია ორი ელექტრო და ერთი ,,ჟოკეი" ტუმბოების, ასევე წყლის რეზერვუარის მოწყობა, რაც შეესაბამება NFPA 20-ის მოთხოვნებს.

ტუმბოების შემწოვი, გამდენი და გადატვირთვის მილები 913.4 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილია სარქველებით. სველი განგაშის სარქველიდან ინფორმაცია 913.4 (1) ქვეთავის შესაბამისად, ელექტრონულად გადაიცემა მთავარ მართვის პულტზე, რომელის განთავსება გათვალისწინებულია სამორიგეო ოთახში.

NFPA 20-ის მოთხოვნების შესაბამისად ტუმბოების ელექტრო მომარაგებისათვის გათვალისწინებულია ორი: სათადარიგო და დამატებითი წყარო, სარეზერვო ელექტროკვება ხორციელდება დიზელ-გენერატორიდან.

სპრინკლერების რაოდენობიდან გამომდინარე NFPA 13-ის მოთხოვნების გათვალისწინებით ავტოსაშხეფი სისტემა გაყოფილია ორ ზონად, რომლებიც წყლით მარაგდება 100 მმ. დგარების მეშვეობით (NFPA 13-ის ცხრილი 27.5.2.2.1). ამავე ცხრილის შესაბამისად სწორედ არის გათვლილი იმ მილების დიამეტრი, რომლებითაც უშუალოდ საშხეფებს მიეწოდება წყალი.

ავტოსაშხეფი სისტემების მოწყობა შეესაბამება წესების მოთხოვნებს.

სახანძრო მილდგარების სისტემის შეფასება:

პროექტით, შენობაში გათვალისწინებულია I კლასის საშხეფი სისტემის მოწყობა.

შენობის სიმაღლისა და საჭირო წყლის წნევის გათვალისწინებით, სახანძრო მილდგარები მიერთებულია ქალაქის წყალსადენის ქსელთან. სახანძრო სახელურების მისაერთებელის დიამეტრი 50 მმ შერჩეულია 905.1 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად. სახანძრო კარადებისა სახელურების მისაერთებლების მდებარეობა შეესაბამება 905.4 და 905.6.2 ქვეთავების მოთხოვნებს.

გარე ხანძრი ქრობისთვის პროექტით გათვალისწინებულია შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ქალაქის ქსელზე მიერთებული სახანძრო ჰიდრანტების (წყლის ასაღები წერტები) მოწყობა მათი მდებარეობა შეესაბამება 912.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

912.2-912.5 ქვეთავების მოთხოვნების შესაბამისად შენობის სახანძრო წყალმომარაგების სისტემები უზრუნველყოფილია სახანძრო მისაერთებლებით.

შენობის ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგება შეესაბამება წესების მოთხოვნებს

სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემების შეფასება:

საპროექტო შენობის ყველა დაკავებულობებში 907.6.3 ქვეთავის შესაბამისად გათვალისწინებულია ორ ზონიანი სახანძრო განგაშისა და ცეცხლის აღმომჩენი ანალოგური სამისამართო სისტემების მოწყობა.

გათვალისწინებულია მთლიანად შენობის კვამლის დეტექტორებით აღჭურვა, გარდა იმ დაკავებულობებისა სადაც გარემომცველი პირობების გამო აკრძალულია კვამლაღმომჩენების არსებობა (სველი წერტილები, იქ სადაც ტექნოლოგიური დანადგარების მუშაობისას გამოიყოფა მტვერი და ა.შ) ამ დაკავებულობებში გამოყენებულია კომბინირებული დეტექტორები 907.5 და 907.4.3 ქვეთავების შესაბამისად.

პროექტით, კვამლაღმომჩენი სისტემები ცენტრალური მართვის პულტის მეშვეობით ააქტიურებს: საგანგაშო, კვამლის საკონტროლო სისტემებს და ,,ტამბურ-

რაბის“ ცეცხლგამძლე კარებებს, რომლებსაც ავტომატურ რეჟიმში მართავს მათ. სახანძრო განგაშის სისტემის ამოქმედება შესაძლებელია ავტოსაშხეფი სისტემის, ასევე ცეცხლის ავტომატური აღმომჩენებისა და ხელით სამართავი ღილაკების მეშვეობით, რომლებიც დაკავშირებულია ცენტრალური მართვის პულტთან, საიდანაც აქტიურდება ხმოვანი სიგნალი, რაც შეესაბამება 907.5 ქვეთავის მოთხოვნებს.

სახანძრო განგაშის ხელით სამართავი ჯოლოფების განთავსებულია 907.4.2.1-907.4.2.6 ქვეთავების მოთხოვნების შესაბამისად.

პროექტის მიხედვით ცენტრალური მართვის პულტს გადაეცემა შემდეგი ინფორმაციები:

- ხანძრის შესახებ;
- სიგნალიზაციის შლეიფების გამართულებაზე;
- კვამლის საკონტროლო სისტემის ჩართვის შესახებ.

ავტომატური ცეცხლი აღმომჩენი სისტემის შლეიფები შესრულებულია დამოუკიდებელი გაყვანილობებით და მათი მთლიანობა ავტომატურად კონტროლდება (907.3.4 ქვ.თავი)

907.6.2 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, პროექტით სახანძრო განგაშის სისტემების ელექტრომომარაგება გათვალისწინებულია ძირითადი და დამატებითი წყაროებიდან.

სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები შეესაბამება წესების მოთხოვნებს.

კვამლის საკონტროლო სისტემების შეფასება:

საპროექტო შენობის სამივე სართულზე გათვალისწინებულია სითბო-სიცივის, სუფთა ჰაერის და გამწოვი სავენტილაციო სისტემების მოწყობა.

ზემოთ აღნიშნული სავენტილაციო დანადგარები სრულყოფილად აღჭურვილია ავტომატიზირებული და ელექტრო მართვის პანელით, რომელზეც ფიქსირდება:

- ყველა ძრავების დისტანციური გაშვება და გაჩერება;
- ავარიული და სამუშაო სიგნალი;
- ტემპერატურის გაზომვების მაჩვენებლები;

ასევე გათვალისწინებულია სავენტილაციო სისტემის ავტომატური გამორთვა სახანძრო სიგნალიზაციის, ავტოსაშხეფი და ხელით სამართავი საგანგაშო ღილაკების ამოქმედების შემთხვევაში.

0.00 დონის სართულზე სახანძრო ნაკვეთურების ერთმანეთისგან გამყოფი ზღუდის ღიობში არსებულ ,,ტამბურ-რაბში“ 909.6 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად გათვალისწინებულია ავტომატურად და დისტანციურად მართვადი ჰაერის დამწნევი სისტემის მოწყობა.

შენიშვნა: კვამლის საკონტროლო სისტემა უნდა მოეწყოს 909.2.1.5, 909.6.1, 909.6.2, 909. 11 და 909.12 ქვეთავების მოთხოვნების შესაბამისად

დასკვნა:

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე ქ. თბილისში აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე (ს/კ 01.72.14.014.888) რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის სამშენებლო პროექტი შეესაბამება ,,ტექნიკური რეგლამენტი შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებს.

ინსპექტორი: გიორგი ლეიმანი

ტექნიკური წესით გადაამოწმა ტექ. მენეჯერმა ნუგზარ: მაისურაძემ

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა დირექტორი: ნუგზარ მაისურაძემ

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

EA BLA-ის ხელმომწერი

GAC-IB-0337

ადასტურებს, რომ

შპს „სახანძრო ექსპერტიზის ბიურო“-ს

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

მისამართი: ქ. თბილისი, სამტრედიის ქ. №17;

შეფასდა და აკმაყოფილებს საქართველოს სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

აკრედიტებულია შემდეგ სფეროში: 1. სამშენებლო ობიექტის პროექტის (შენობის და ნაგებობების) ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება. მათ შორის სახანძრო უსაფრთხოების ნაწილი; 2. ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება (სახანძრო უსაფრთხოების ნაწილი).

(დანართი - „აკრედიტაციის სფერო“)

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
19 თებერვალი 2020 წ.

ძალაშია
19 თებერვალი 2024 წ.

ადგილი ბეჭდისთვის

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა

დამკვეთი: სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“